პრეზიდენტი თომას ს. მონსონის მიერ

სამუშაოს დაჩქარება

თქვენ გაიაზრეთ, რომ აღდგენილ ეკლესიას დაახლოებით 98 წელი დასჭირდა 100 პალოს შესაქმნელად, მაგრამ 30 წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ეკლესიაში შეიქმნა კიდევ 100 პალო, 8 წლის შემდეგ კი ეკლესიაში უკვე 300 პალო იყო. დღეს ჩვენი ძალა განისაზღვრება 3, 000 პალოზე მეტი რაოდენობით.

რატომ იზრდება რაოდენობა ასე სწრაფად? იმიტომ, რომ უკეთ გვიცნობენ? იმიტომ, რომ მშვენიერი სამლოცველოები გვაქვს?

ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ დღეს ეკლესიის ზრდის მიზანი არის ის, რომ უფალმა მიგვანიშნა, რომ ეს ასე მოხდებოდა. მოძღვრება და აღთქმებში მან თქვა: „აჰა, მე შესაბამის დროს დავაჩქარებ ჩემს სამუშაოს“.[1]

ჩვენ, როგორც ზეციური მამის შვილები, გამოგზავნილნი ვართ დედამიწაზე ამ დროს, რათა შეგვძლებოდა ამ დიადი სამუშაოს დაჩქარების მონაწილენი გავმხდარიყავით.

რამდენადაც ვიცი, უფალს არასოდეს არ მიუთითებია, რომ მისი სამუშაო განისაზღვრება მიწიერი ცხოვრებით. პირიქით, მისი სამუშაო მოიცავს მარადისობას. მე მჯერა, რომ იგი აჩქარებს თავის სამუშაოს სულების სამყაროში. მე ასევე მწამს, რომ უფალი, თავისი მსახურების მეშვეობით, ამზადებს იქ მრავალ სულს სახარების მისაღებად. ჩვენ გვევალება ჩვენი გარდაცვლილების მოძიება და შემდეგ ტაძარში შესვლა და იმ წმინდა წეს-ჩვეულებების შესრულება, რომლების მეშვეობითაც ისინი, ვინც ფარდის მიღმა იმყოფებიან, მიიღებენ იგივე შესაძლებლობებს, რაც ჩვენ გვაქვს.

ყოველი კარგი უკანასკნელი დღის წმინდანი სულების სამყაროში საქმით არის დაკავებული, — ბრძანა პრეზიდენტმა ბრიგან იანგმა (1801–77). „რას საქმიანობენ ისინი? ქადაგებენ, გამუდმებით ქადაგებენ და გვიმზადებენ გზას აქ და სადაც არ უნდა იყოს, ტაძრების მშენებლობის საქმის დასაჩქარებლად.“[2]

საოჯახო ისტორიის საქმე არ არის ადვილი. მესმის სკანდინავიელთა გულგატეხილობა. მაგალითად, ჩემს შვედ პაპას ერქვა ნელს მონსონი; მამამისს კი მონსონი კი არა მონს ოკესონი ერქვა. მონსის მამას ოკე პედერსონი ერქვა, მის მამას კი პიტერ მონსონი, ანუ ისევ მონსონს დავუბრუნდით.

უფალი ელოდება თქვენგან და ჩემგან იმას, რომ კარგად ჩავატარებთ საოჯახო ისტორიის სამუშაოს. მე ვფიქრობ, რომ სამუშაოს კარგად ჩასატარებლად პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ — ვიქონიოთ მამაზეციერის სული. როცა მართლად ვცხოვრობთ, ისე, როგორც ვიცით, რომ უნდა ვიცხოვროთ, იგი გაგვიხსნის გზას იმ დალოცვების მისაღებად, რომლებსაც ასე გულმოდგინედ და ბეჯითად ვეძებთ.

ჩვენ დავუშვებთ შეცდომებს, მაგრამ ვერც ერთი ვერ გავხდებით ექსპერტი საოჯახო ისტორიის სამუშაოში, თუ დამწყების ეტაპს არ გავივლით. ასე რომ, მოდით ჩავიძიროთ ამ სამუშაოში და მოვემზადოთ მთაზე ასასვლელად. ეს არ არის ადვილი დავალება, მაგრამ უფალმა ეს თქვენ დაგაკისრათ და მან ეს ასევე დამაკისრა მე.

როცა თქვენ საოჯახო ისტორიის სამუშაოს შეჰ-ყვებით, თქვენ დადგებით სირთულეების წინაშე, როცა ეტყვით საკუთარ თავს: „ამაზე მეტს ვერაფერს ვერ გავაკეთებ“. როცა ამ ზომამდე მიხვალთ, მუხლი მოიყარეთ და სთხოვეთ უფალს, გაგიხსნათ გზა და იგი ასეც იზამს. მე ვმოწმობ, რომ ეს ჭეშმარიტებაა.

მამაზეციერს უყვარს თავისი შვილები სულების სამყაროში ისევე, როგორც მას მე და თქვენ ვუყვარვართ. წინასწარმეტყველმა იოსებ სმითმა ჩვენი გარდაცვლილებისთვის გადარჩენის სამუშაოს თაობაზე თქვა შემდეგი: „და ახლა, როდესაც ღვთის დიადი მიზნები უახლოვდება შესრულებას და ვხედავთ, როგორ ცხადდება წინასწარმეტყველების მიერ ნათქვამი სიტყვები, როცა ღვთის სასუფეველი წესდება დედამიწაზე და აღდგენილია ძველი წესი, უფალმა განაცხადა ჩვენი ვალდებულება და პრივილეგია“.[3]

იმ ჩვენი წინაპრების შესახებ, რომლებიც სახარების ცოდნის გარეშე გარდაიცვალნენ, პრეზიდენტმა ჯოზეფ ფ. სმითმა (1838–1918) ასე განაცხადა: „ჩვენი მათ მიმართ ძალისხმევით, მათ მონობის ბორკილები ჩამოსცვივდებათ და სიბნელე მათ ირგვლივ გაიფანტება, რათა ისინი სინათლემ გაანათოს და მათ გაიგონონ სულების სამყაროში იმ სამუშაოს შესახებ, რომელსაც აქ მათი შვილები ატარებენ მათთვის და ისინი გაიხარებენ თქვენი ამ მოვალეობის შესრულებით.“[4]

მამაზეციერის სულიერი შვილების მილიონობით ადამიანს სიკვდილამდე არც კი სმენია ქრისტეს სახელი. მაგრამ ახლა მათ ასწავლიან სახარებას და ისინი ელიან იმ დღეს, როცა მე და თქვენ ჩავატარებთ საჭირო კვლევას მათთვის გზის გასახსნელად ისე, რომ შევძლოთ უფლის სახლში შესვლა და მათთვის იმ სამუშაოს ჩატარება, რომელსაც ისინი საკუთარი თავისთვის ვერ ჩაატარებდნენ.

ჩემო დებო და ძმებო, მე ვმოწმობ, რომ უფალი დაგვლოცავს, თუკი ჩვენ მივიღებთ ამ გამოწვევას და გავუმკლავდებით მას.

ამ მოწოდების სწავლება

მოიფიქრეთ თქვენი საოჯახო ისტორიიდან საყვარელი ამბავი და გაუზიარეთ იგი თქვენი სტუმრობის დროს. შესაძლოა, მოისურვოთ პირველი პრეზიდენტობის გზავნილიდან საბავშვო ნაწილის კითხვარის გამოყენება (გვ.6) იმისთვის, რომ შეაგულიანოთ ადამიანები, რომლებსაც სტუმრობთ, გაგიზიარონ საკუთარი ისტორიები. წაიკითხეთ მოძღვრებაბა და აღთქმების128:15 და განიხილეთ თქვენი წიმაპრებითვის სატაძრო წეს-ჩვეულებების ჩატარების მნიშვნელობა.

შენიშვნები

1. იხ. მოძღვრება და აღთქმები 88:63.
2. *Teachings of Presidents of the Church: Brigham Young* (1997), 280.
3. *Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith* (2007), 409.
4. *Teachings of Presidents of the Church: Joseph F. Smith* (1998), 247.

ახალგაზრდები

შემეძლო ინდექსირებისგან სიამოვნების მიღება?

ემა აბრილ ტოლედო ცისნეროს მიერ

მე ვმონაწილეობდი ჩვენი პალოს მიერ დასახული მიზნის მიღწევაში — ჩაგვეტარებინა 50 000 სახელის ინდექსირება. ზოგიერთ შემთხვევაში ჩემს მიერ ჩატვირთული სახელების ნაწილი წასაკითხად ძნელი იყო ხელნაწერის გამო და ზოგჯერ მიჩნდებოდა სურვილი დამებრუნებინა ეს ნაწილი და სხვა ჩამეტვირთა. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ყველა ასე რომ მოქცეულიყო, ასეთი სახელები სულ ბოლოში დარჩებოდა. მე წარმოვიდგინე სულების სამყაროში ადამიანთა რიგები და გადავწყვიტე გამეგრძელებინა ამ სახელების წაკითხვა და მათი უშეცდომოთ ტრანსკრიბირება.

მე ამ ადამიანების მიმართ სიყვარულის გრძნობა დამებადა. მე მივხვდი, რომ მათ ნამდვილად ესაჭიროებოდათ დახმარება და ჩვენც ასევე გვესაჭიროებოდა მათგან დახმარება. მე უკეთ გავიგე ის, რომ მამაზეციერის სრულყოფილი გეგმა ყველას ითვალისწინებს. როცა ჩვენ მივყვებით შთაგონებას და ღვთის რჩეულ ხელმძღვანელებს, ჩვენ მისი მადლისა და უსაზღვრო სიყვარულის თვითმხილველნი ვხდებით.

ჩემთვის ინდექსირება სასიამოვნო გამოცდილების მიღება იყო. მე გავიგე ოჯახური ისტორიის სიყვარული და ფასი. მე ასევე მივიღე ძვირად ღირებული ძღვენი უფლისგან უბრალოდ იმის გამო, რომ დავემორჩილე ისეთ მარტივ რამეს, როგორიცაა ინდექსირებაში მონაწილეობა.

ავტორი ცხოვრობს მექსიკაში, ვერაკრუზში.

ბავშვები

იცოდეთ თქვენი ისტორიები

თქვენს მშობლებს, ბებიებსა და ბაბუებს უამრავი თავგადასავალი ჰქონიათ ცხოვრებაში, რომლებზედაც თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ! მათი ზოგიერთი ისტორია სასაცილოა და შესაძლებელია, რომ ამ ისტორიებმა მამაზეციერის მიმართ რწმენა გაგიჩინონ. მაგრამ ზოგჯერ ზრდასრულ ადამიანებსაც კი რცხვენიათ. გამოიყენეთ ეს კითხვები იმისთვის, რომ დაეხმაროთ მათი საყვარელი ისტორიების გახსენებაში და ჩაიწერეთ ან ჩაიხატეთ მათი პასუხები.

1. მომიყევით თქვენი სამი ყველაზე ბედნიერი მოგონება.
2. რა იყო ყველაზე სამარცხვინო მომენტი?
3. მომიყევით ჩემი დაბადების პირველი დღის შესახებ.
4. რისი კეთება გიყვარდათ ბავშვობაში?
5. როგორ მიიღეთ მოწმობა სახარების შესახებ?

© 2014 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *First Presidency Message, June 2014.* Georgian.10866 131

იესო ქრისტეს ღვთიური მისია: მსახური

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ ამ მასალიდან სხვებს. როგორ ზრდის მხსნელის მისიისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვისაც თქვენ სტუმრობთ შინა მასწავლებლის პროგრამით? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org.

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ზოგიერთ ასპექტს.

როცა სხვებს ვემსახურებით, ჩვენ ვხდებით ჭეშმარიტი მიმდევრები იესო ქრისტესი, რომელმაც მაგალითი დაგვიტოვა. პრეზიდენტმა თომას მონსონმა თქვა: „ჩვენს ირგვლივ იმყოფებიან გაჭირვებულები. . . . ჩვენ აქ, დედამიწაზე, უფლის ხელებს წარმოვადგენთ და გვაქვს დავალება — ვემსახუროთ და ავამაღლოთ მისი შვილები“.[1]

ლინდა ბერტონი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი, გვასწავლიდა: „ვარჯიშის შედეგად, თითოეული ჩვენგანი, ღვთის შვილების მსახურებისას, უფრო დაემსგავსება მხსნელს. იმისთვის, რომ უკეთ ვემსახუროთ ერთმანეთს, მინდა შეგახსენოთ ოთხი სიტყვა: ‘ჯერ დააკვირდი, მერე ემსახურე’. . . . როცა ასე ვიქცევით, ჩვენ ვიცავთ მცნებებს და ჩვენი მსახურება, ისევე, როგორც პრეზიდენტი მონსონის მსახურება, იქნება ჩვენი მოწაფეობის მტკიცებულება.“[2]

ჩვენ შეგვიძლია ყოველდღე ვილოცოთ იმისთვის, რომ ამოვიცნოთ სხვებისთვის მსახურების საშუალებები. „მამაზეციერი წინ გაგიძღვებათ და ანგელოზები დაგეხმარებიან“, — თქვა ახალგაზრდა კაცების გენერალურმა პრეზიდენტმა დევიდ ლ. ბექმა. „თქვენ მოგეცემათ ადამიანების ცხოვრების დალოცვის და სულების გადაარჩენის ძალა“.[3]

წმინდა წერილიდან

მათე 20:25–28; 1 ნეფი 11:27–28; 3 ნეფი 28:18

ჩვენი ისტორიიდან

1856 წლის ოქტომბრის გენერალურ კონფერენციაზე პრეზიდენტმა ბრიგამ იანგმა (1801–77) გამოაცხადა, რომ პიონერები ხელის ურიკებით ჯერ კიდევ კვეთდნენ ველებს და ყველას უნდა გაეწია მათთვის დახმარება. ლუსი მიზერვი სმითი წერდა, რომ ქალებმა „გაიხადეს ქვედა კაბები, წინდები და ყველაფერი, რისი დაზოგვაც კი შეეძლოთ იქ, კარავში, და ურიკებზე ააკოკოლავეს“.

როცა გადარჩენილმა პიონერებმა დაიწყეს სოლთ ლეიქ სითიში ჩამოსვლა, ლუსიმ დაწერა: „მთელი ცხოვრების განმავლობაში არც ერთი სამუშაოსგან არ მიმიღია ამაზე მეტი სიამოვნება, არ მქონია ასეთი ერთიანობის გრძნობა. საკმარისი იყო მაღაზიაში მისვლა და ჩემს საჭიროებათა შესახებ შეტყობინება; ქსოვილს საერთოდ უფასოდ გასცემდნენ“.[4]

პრეზიდენტმა ჯორჯ ალბერტ სმითმა (1870–1951) ასე თქვა სხვებისთვის მსახურების შესახებ: „ჩვენი მარადიული ბედნიერება პროპორციულად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ვეხმარებით სხვებს“.[5]

განიხილეთ შემდეგი

1. როგორ შეუძლია ლოცვას გაგვხადოს იარაღი უფლის ხელში?

2. როგორ გვეხმარება მსახურება ჩვენი აღთქმების დაცვაში?

შენიშვნები

1. თომას ს. მონსონი, “What Have I Done for Someone Today?” *ლიახონა,* ნოემბერი 2009, 86.
2. ლინდა კ.ბერტონი, “First Observe, Then Serve,” *ლიახონა,* ნოემბერი. 2012, 78, 80.
3. დევიდ დევიდ ლ. ბეკი, “Your Sacred Duty to Minister,” *ლიახონა,* მაისი 2013, 56.
4. ჯოზეფ სმითი, წიგნიდან *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 36–37.
5. ჯორჯ ალბერტ სმითი, *Daughters in My Kingdom,* 77.

© 2014 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში .ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *Visiting Teaching Message, June 2014.* Georgian. 10866 131